

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1 0 4 9

ქ. ბათუმი, 29 ნოემბერი 2016 წ

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 27 სექტემბრის №858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 27 სექტემბრის №858 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების წერილობით დასაბუთებაში (საკონსტატაციო ნაწილში) ნაცვლად: „3) ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №1-ში არსებული 76,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“-სა მიეთითოს: „3) ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №1-ში არსებული 100,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“;

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №1-ში არსებული 100,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;“

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი